თბილისი, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძის ქუჩის მიმდებარე ნაკვ. №01.14.04.029.313/314/315/316/317-ში საცხოვრებელი სახლების პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური

დასკვნა

თბილისი
2021

შ. პ. ს. “თბილინვესტპროექტი“

თბილისი, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძის ქუჩის მიმდებარე ნაკვ. №01.14.04.029.313/314/315/316/317-ში საცხოვრებელი სახლების პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

შ.პ.ს.
“თბილინვესტპროექტი“-ს
დირექტორი გ. სიყმაშვილი

გეოლოგიის მაგისტრი,
ინჟინერ-გეოლოგი გ. სადრაძე

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

გაცემულია შ.პ.ს. "ჯი ემ ფი"-ს მიერ
/დამკვეთის ან ორგანიზაციის დასახელება/

I. საერთო ცნობები

1. ობიექტის სრული დასახელება ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები

2. ობიექტის მდებარეობა ქ. თბილისი, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძის ქუჩის მიმდებარე ნაკვ. №01.14.04.029.313/314/315/316/317
/ადმინისტრაციული კუთვნილება და მისამართი/

3. მშენებლობის მოკლე დახასიათება ახალმშენებლობა
/ახალმშენებლობა, რეკონსტუქცია, გაფართოება/

II. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიებისთვის საჭირო მონაცემები.

4. დაპროექტების სტადია მუშა პროექტი
/წინასაპროექტო სტადია, პროექტი, მუშა პროექტი/

საპროექტო შენობა-ნაგებობების დახასიათება

5. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით II

6. შენობის სართულიანობა და ზომები გეგმაში ხუთი ორსართულიანი 15,0X6,6 მ

7. პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული ±0,00=532,4 მ

8. სარდაფის იატაკის საპროექტო ნიშნული 529,4 მ

9. შენობის ტიპი კარკასულ-მონოლითური
/კარკასული, მონოლითური და სხვ./

10. საძირკვლის სავარაუდო ტიპი და ზომები წერტილოვანი

11. მოსალოდნელი საპროექტო დატვირთვა საძირკვლის ფუძეზე 1000 კნ

12. საამშენებლო უბნის ტოპოგეგმა ნაგებობის კონტურებით მასშ. 1 : 500 1

13. ნაგებობის ჭრილი 2

სარჩევი

1. შესავალი ---------- 2
2. ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგიური პირობები---------- 3
3. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ---------- 4
4. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები ---------- 6
5. ფერდობის მდგრადობის გაანგარიშება ---------- 8
6. დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 10

დანართები

ტექნიკური დავალება ---------- 1 ფ.
ჭაბურღილების განლაგების სქემა ---------- 1 ფ.
საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები ---------- 2 ფ.
ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები ---------- 4 ფ.
გრუნტის ერთღერძა კუმშვაზე გამოცდის შედეგები ---------- 8 ფ.

თბილისი, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძის ქუჩის მიმდებარე ნაკვ. №01.14.04.029.313/314/315/316/317-ში ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

1. შესავალი

შ.პ.ს. "ჯი ემ ფი"-ს დაკვეთის საფუძველზე, შ.პ.ს. “თბილინვესტპროექტი”-ს გეოლოგთა ჯგუფმა ქ. თბილისში, საბურთალოზე, ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით. კვლევა-ძიების მიზანს წარმოადგენს დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნებისათვის გამოყოფილი მოედნის გეოლოგიური აგებულების, ჰიდროგეოლოგიური პირობებისა და გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა.

აღნიშნულ მოედანზე უნდა აშენდეს ხუთი ორსართულიანი შენობა სარდაფის სართულით. შენობები გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, ზომებით 15,0x6,6 მ. შენობის ტიპი რკინა-ბეტონის კარკასი, სართულშუა გადახურვა მონოლითური ფილა. საძირკვლის სავარაუდო ტიპი - წერტილოვანი. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II.

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად გაყვანილია ორი ჭაბურღილი და ორი შურფი, საერთო სიღრმით 20,0 გრძ/მ. გაშიშვლებაზე ჩატარებულია ნაპრალოვანი აგეგმვა. კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანებიდან აღებულია ნიმუშები, რომლებზეც ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შ.პ.ს. “თბილინვესტპროექტი”-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. გამონამუშევრების და აგეგმვის წერტილების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემულ ტოპო-გეგმაზე. საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია წინამდებარე დასკვნა. კვლევები ჩატარებულია

და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლი წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – (სამშენებლო წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია), პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები), ს.ნ. და წ. 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები), ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), პნ 01.01.-09 (სეისმომედეგი მშენებლობა), სახსტანდარტი 25100-95 (გრუნტები, კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულდა 2021 წლის სექტემბერში.

2. ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საკვლევი მოედანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ნაწილში, საბურთალოზე. საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს. წლის საშუალო ტემპერატურა 12,2°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი –23°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი — 147 მმ. თოვლის საფარის წონა 0,50 კპა, თოვლის საფარის დღეთა რიცხვი — 14. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ — 0,73 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ — 0,85 კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ — შესაბამისად 28, 33, 35, 36, და 37 მ/წმ. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

გამოკვლეული უბანი მდებარეობს დელისის დეპრესიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორიის რელიეფი ჩრდილოეთის მიმართულებით საშუალოდ დახრილი ზედაპირით არის წარმოდგენილი. სამშენებლო მოედნის სამხრეთ ნაწილში რელიეფი ხელოვნურად მოსწორებულია, რაც გამოწვეულია მიმდებარე ტერიტორიაზე გზების მოწყობით. მოედნის ჩრდილოეთ ნაწილში ჩამოჭრილია ფერდობი, დაახლოებით 7-8 მ-ის სიმაღლეზე. სამშენებლო მოედანს სამხრეთიდან ნადირაძის ქუჩა ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან ჩამოჭრილი ფერდობი და მშენებარე სახლი, ხოლო დანარჩენი ორი

მხრიდან საკარმიდამო ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 533,8 – 526,5 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთ ქვეზონაში. ტერიტორია აგებულია ზედა ეოცენური ასაკის ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. ქვიშაქვები მკვრივია, მდგრადი, თიხოვან-კარბონატულ ცემენტზე, ტექსტურა უწესრიგო. არგილიტები თხელშრეებრივია, ნაკლებად მდგრადია, შედგება თიხური არაერთგვაროვანი მასისაგან, ტექსტურა შრეებრივია. ჭრილის ზედა ნაწილში ქანები ძლიერ გამოფიტულია, ხოლო სიღრმის მატებასთან ერთად ქანის სიმტკიცეც მატულობს. ეს ძირითადი ქანები ზემოდან გადაფარულია თანამედროვე ნაყარი გრუნტით.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში. გრუნტის წყლები კლდოვან ქანებშია გავრცელებული და ნაპრალური ხასიათისაა. მისი ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება ტერიტორიის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით.

3. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართ 10-ის თანახმად, უბანი განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სურათის მისაღებად, საკვლევი მოედანის სამხრეთ ნაწილში, სადაც ნაყარი გრუნტი დიდი სიმძლავრისაა, გაყვანილია ორი ჭაბურღილი, მაქსიმალური სიღრმით 7,0 მ-მდე, კლდოვან კანებში 2,0 მ-მდე ჩაღრმავებით, ხოლო სადაც კლდოვანი ქანები ზედაპირთან ახლოს არიან, იქ გაყვანილია ორი შურფი და ჩატარებულია ნაპრალოვანი აგეგმვა, რომლის საფუძველზე მიღებულია შიგა ხახუნის კუთხის და შეჭიდულობის რიცხვითი მნიშვნელობები. მათი მნიშვნელობები გამოყენებულია ფერდობის მდგრადობის ანგარიშისთვის. ჩატარებული სავველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე, მოედანზე გამოყოფილია სამი ფენა. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

ფენა №1 ნაყარი გრუნტი - tQ_{IV} – თიხნარის მასა ღორღის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შეუმკვრივებელი. ფენა ფუძის გრუნტებად არ განიხილება, ამიტომ მისი თვისებები ლაბორატორიულად არ შესწავლილა. ფენის სიმძლავრე 0,5-3,0 მ-ია. გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24-a-II კატეგორიას.

ფენა №2 არგილიტების და ქვიშაქვების თხელშრეებრივი მორიგეობა – P^3_2 – მოყვითალო-ყავისფერი, ჭრილის ზედა ნაწილი ძლიერ გამოფიტულია, მეტწილად წარმოდგენილია არგილიტის და ქვიშაქვის თხელი შრეებით. არგილიტი არა მდგრადია და ადვილად იშლება. ქვიშაქვები მკვრივია, მდგრადი, თიხურ ცემენტზე. არგილიტი მუქი-ყავისფერია, ფენოვანი, შედგება თიხური არაერთგვაროვანი მასისაგან, კვარცის უწვრილესი მარცვლების ჩანართებით. სიღრმის მატებასთან ერთად არგილიტები ხდებიან უფრო მკვრივები და მდგრადები. სიღრმის მატებასთან ერთად ქანის გამოფიტვის ხარისხი კლებულობს და შესაბამისად ქანის სიმტკიცე იზრდება. სამშენებლო მოედნის ჩრდილოეთით არსებულ გაშიშვლებაზე გაიზომა ქანების დაქანების აზიმუტი და დახრის კუთხე: Az 340-350°, <30-40°, რაც ფერდობის დახრას ემთხვევა. აღებულია არგილიტის 3 ნიმუში, რომლებზეც ჩატარდა გამოცდები სიმტკიცეზე ერთღერძა კუმშვაზე როგორც მშრალ, ასევე წყალნაჯერ მდგომარეობაში. გრუნტის თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 1-ში, ლაბორატორიული კვლევების შედეგები წარმოდგენილია ჯამურ უწყისში. ცხრ. 1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული. მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2,22
2	ტენიანობა	W	%	11,6
3	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალში	Rc	მპა	4,6
4	დეფორმაციის მოდული	E	მპა	200
5	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,25

სახ.სტანდარტი 25100-82-ის მიხედვით გრუნტი მიეკუთვნება დანალექ, შეცემენტებულ, ნახევრადკლდოვან, დაბალი სიმტკიცის ქანებს.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 3-a-V კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №3 ქვიშაქვები არგილიტის შუაშრეებით – 2 – მონაცრისფრო-მოლურჯო, სუსტად გამოფიტული, წვრილმარცვლოვანი, თიხურ ცემენტზე. არგილიტის თხელი შრეები, ქვიშაქვის მკვრივ შრეებს შორის შუაშრეების სახით არის განლაგებული.

ნაპრალები შევსებულია კალციტით. არგილიტის შრეების სიმძლავრე 2-5 სმ-ის ფარგლებშია, ქვიშაქვის შრეები მასიურია, 20-50 სმ-ს აღწევს. სიღრმის მატებასთან ერთად არგილიტები ხდებიან უფრო მკვრივები, უფრო მდგრადები, ამიტომ ფენა შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანი, რადგან მათ შორის კავშირი მტკიცეა, შესაბამისად, მეწყრული მოვლენების წარმოქმნა ამ ფენაში გამორიცხულია. ექვს ნიმუშზე ჩატარდა გამოცდები ერთღერძა კუმშვაზე, მშრალ და წყალნაჯერ მდგომარეობაში. ფენის თვისებების ნორმატიული მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილ 2-ში.

ცხრ. 2

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული. მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2,34
2	გამოფიტვის კოეფიციენტი	w_r		0,95
3	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალში	Rc	მპა	19,2
4	დეფორმაციის მოდული	E	მპა	2000
5	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,20

სახ.სტანდარტი 25100-82-ის მიხედვით გრუნტი მიეკუთვნება დანალექ, შეცემენტებულ, საშუალო სიმტკიცის კლდოვან ქანებს.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 28-6-VI კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება I კატეგორიას.

მიწისქვეშა წყალი აღნიშნულ მოედანზე, გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში არ დაფიქსირდა, თუმცა, საძირკვლების მოწყობისას, კლდოვანი ქანის ნაპრალებიდან წყლის გამოჟონვა არ არის გამორიცხული.

3. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

საკვლევი უბანი მდებარეობს მდ. ვერეს წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ ფერდის ზედა ნაწილში. ტერიტორიის რელიეფი ციცაბოა, სამხრეთის ექსპოზიციის და ემთხვევა კლდოვანი ქანების დაქანების აზიმუტს და დახრის კუთხეს. ერდობის ჩრდილოეთ ნაწილი ჩამოჭრილია დაახლოებით 7-8 მ-ის სიმაღლეზე. გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით განლაგებულია დაბალი საფრთხის ზონაში. კვლევა-ძიების მიზანია არსებული ფერდობის მდგრადობის და მასზე განვითარებული საშიში გეოლოგიური მოვლენების შეფასება. ფერდობის მდგრადობის შეფასებისთვის

ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: ნორმატიული დოკუმენტი «Рекомендаций по изучению трещиноватости горных порд для строительства» მოთხოვნების საფუძველზე დათვალიერებულია ფერდობი და მისი მიმდებარე ტერიტორიები, ჩამოჭრილი ფერდობის გაშიშვლებებზე ჩატარებულია ნაპრალოვანი აგეგმვა, რომლის საფუძველზე მიღებულია კლდოვანი ქანის დანაპრალიანების ხარისხი.

არსებული მდგომარეობის მიხედვით ქანები დანაწევრიანებულია სხვადასხვა გენეზისის ნაპრალებით. ფერდობის მდგრადობას განაპირობებს მასივის ამგები კლდოვანი ქანების ნაპრალიანობა და ნაპრალებით დანაწევრების ხარისხი. ნაპრალები ძირითადად ეგზოგენური ხასიათისაა. თავისი დახრილობის და მიმართების მიხედვით, სხვადასხვა სივრცობრივი ორიენტაცია აქვთ. სხვადასხვა სისტემის ურთიერთგადამკვეთი ნაპრალები ბლოკებს ქმნიან. ბლოკების სიდიდე ნაპრალთა შორის მანძილზეა დამოკიდებული, ხოლო, ნაპრალების სიგანის ჯამი განსაზღვრავს მასივის ღრულობას. ფერდობზე არსებულ გაშიშვლებებში დაფიქსირდა ნაპრალთა სამი სისტემა: I სისტემა –– დამრეცი დაშრევების ნაპრალთა სისტემა, დახრის კუთხე <35° და აზიმუტი –– Az 345° თანხვედრილია ფერდობის ექსპოზიციასთან. II სისტემა – ვერტიკალური გამოფიტვის ნაპრალები, Az 75° შეადგენს, დახრის კუთხე <85°. III სისტემის ნაპრალების Az 325° შეადგენს, დახრის კუთხე 78°. ქანების ნაპრალიანობის ხარისხის მიხედვით სნ და ჳ 2.02.02-85 ცხრ. 5-ის საფუძველზე მიღებულია ქანის ძვრის მახასიათებელთა მნიშვნელობები. ცხრ. 3

გაშიშვლების №	ნაპრალთა სისტემა	ნაპრალების დ დაქანების აზიმუტი	ნაპრალების დაქანების კუთხე	მანძილი ნაპრალთა შორის სმ	ნაპრალთა სიგანე სმ	ნაპრალთა დახასიათება	ბლოკურობა სმ	ღრუღლობა %	ქანის სიმკვრივის და ძვრის მახასიათებლები სნ და ჳ 2.02.02-85 ცხრ.			
									ნაპრალიანობის ხარისხი	tgφ	φ°	C მპა
	I	338-356 345	28-42 35	11-33 22	0,5-1,2 0.7	გლუვი, შემავსებელი არა, მშრალი,	52	0,69	ძლიერ ნაპრალიანი	0.70	31°	0,1
	II	69-81 75	78-92 85	22-41 38	0,3-1,2 0.6	ხორკლიანი, შევსებულია თიხით, მშრალი,						

	III	315-328 325	75-84 78	17-39 28	0,2-0,8 0,4	ხორკლიანი, შევსებულია თიხით, მშრალი,						

4. ფერდობის მდგრადობის გაანგარიშება

ფერდობის მდგრადობის ანგარიში შესრულებულია «рекомендации по проектированию земполотна дорог в сложных инженерно-геологических условиях ВНИИ 1974», დანართი 2, გვ. 147 თავი: «методика расчета местной устойчивости откосов»

ქვაბულის ფერდოს მდგრადობის ანგარიშის არსებული მეთოდების უმეტესობა განიხილავს გრუნტის ზღვრულ წონასწორობას მისი ფიზიკური-მექანიკური თვისებების უცვლელობის ხარჯზე. ქვაბულის გახსნის შემთხვევაში ატმოსფერული ზემოქმედების გამო გრუნტის თვისებები იცვლება: ხდება გრუნტის დასველება ატმოსფერული ნალექებით, მზის და ქარის ზემოქმედებით ინტენსიურად მიმდინარეობს ქანების გამოფიტვის პროცესი, რაც იწვევს ქვაბულის ფერდოს მდგრადობის ადგილობრივ დარღვევას და ხდება ფერდოს მთლიანი ან ნაწილობრივი ჩამოშლა. ამ პროცესის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ქვაბულის ფერდოს მიეცეს ქანობი, რომლის დახრაც განისაზღვრება სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის ცხრ. 4-ის მოთხოვნების საფუძველზე, რომლის მიხედვით 5 მ-მდე ქვაბულის ფერდოს დახრა ნაყარი გრუნტისთვის მიიღება 1:1,25 ანუ 38°,

გამოვთვალოთ ფერდის მდგრადობა ძლიერ გამოფიტული არგილიტების და ქვიშაქვების თხელშეებრივი მორიგეობისთვის ანუ ფენა №2-სთვის, რომლითაც აგებულია ჩამოჭრილი ფერდობის დიდი ნაწილი. ფერდობის მდგრადობის ანგარიშისთვის გამოყენებულია ნორმატიული დოკუმენტი «Рекомендаций по количественной оценке устоичивости оползневых склонов» Москва 1984" საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს ჩრდილოეთის მიმართულებით ძლიერ დახრილ, ციცაბო ფერდობს, რომლის ექსპოზიციის აზიმუტი Az = 340 -350º ფარგლებში მერყეობს, დახრის კუთხე 30 -35º. ფერდობი აგებულია ძლიერ ნაპრალიანი ქვიშაქვების და არგილიტების თხელშრეებრიი მორიგეობით, რომლებიც გადაფარულია მცირე სიმძლავრის ნაყარი გრუნტით. შრეების დაქანების აზიმუტი Az = 340 -350º, ხოლო დახრის კუთხე 30 -35º, რაც ფერდობის ექსპოზიციას ემთხვევა. ტერიტორიაზე

მიწისქვეშა წყალი არ არის გავრცელებული. ფერდობი ან მისი ელემენტი ითვლება მდგრადად, თუ მისი მდგრადობის კოეფიციენტი Ky>1. კლდოვანი ქანების შრეების განლაგება ფერდობის ექსპოზიციას ემთხვევა, ხოლო ნაპრალთა სისტემების მიერ შექმნილი შესუსტების ზედაპირები ჩამოჭრილი ფერდობის მთელ სიგრძეზე არის დაფიქსირებული, ამიტომ, ქანების განლაგება ფერდის მიმართ არახელსაყრელად უნდა ჩაითვალოს და ანგარიშს ვატარებთ შესაბამისი სქემის მიხედვით.

განვიხილოთ ჭრილი II-II რომელიც ჭაბ. №2 და შ-ფ. №3-ზე გადის. ჭრილი იწყება ნადირაძის ქუჩიდან და მიემართება ჩრდილოეთის მიმართულებით 24 მ-ის მანძილზე (საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი II-II). ჭრილზე გაყვანილია ერთი ჭაბურღილი – №2 ერთი შურფი №3 და გაშიშვლებაზე ჩატარებულია ნაპრალოვანი აგეგმვა. ჭრილის ზედა ნაწილი 3,0 მ-ის სიღრმემდე აგებულია ნაყარი გრუნტით, ფერდობის ბოლოში ნაყარის სიმძლავრე 0,5 მ-ია. ქვაბულის მოწყობის დროს ნაყარის ფერდოს ქანობი უნდა შეადგენდეს 1:1. სამშენებლო მოედნის ჩრდილოეთ ნაწილი ჩამოჭრილია, რომელიც აგებულია ძლიერ გამოფიტული, ძლიერ ნაპრალიანი მოყავისფრო ფერის არგილიტებით. ამ ფენის საგებს წარმოადგენს მონაცრისფრო-მოლურჯო ფერის მასიური ქვიშაქვები, რომლების შეიცავს არგილიტის თხელ შუაშრეებს. ფენების სავარაუდო მოცურების სიღრმედ მიღებულია 6,0 მ. ცოცვის ზედაპირის სიგრძე 25 მ. ცოცვის ზედაპირის დახრის კუთხე 35º.

ამ შემთხვევაში მდგრადობის კოეფიციენტი K_y გამოითვლება შემდეგი ფორმულით

$$K_y= \sum\gamma_i h_i l_i*\cos^2 \acute{a}_i tg\varphi_i/\sum\gamma_i h_i l_i*\cos\acute{a}_i*\sin\acute{a}_i$$

სადაც:

γ —	სიმკვრივე	2.22 ტ/მ^3
h —	ცოცვის ზედაპირის სიღრმე	6,0 მ
l —	ცოცვის ზედაპირის სიგრძე	25 მ
C —	ხვედრითი შეჭიდულობა	10 ტ/მ^2
φ —	გრუნტის შინაგანი ხახუნის კუთხე	31º
α —	ცოცვის ზედაპირის დახრის კუთხე	35º

$$K_y= 2.22*6*25* \cos^2 35*tg31/2.22*6*25* \cos35*\sin35=$$

$$333*0.67*0.60/333*0.819*0.573=133.8/156.3=0,85.$$

ამრიგად, ფერდობის მდგრადობის კოეფიციენტი K_y=0,85, ანუ ნაკლებია 1,3.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძის ქუჩის მიმდებარედ, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები №01.14.04.029.313/314/315/316/317 მდებარეობს ჩედილოეთის მიმართულებით ძლიერ დახრილ, ციცაბო რელიეფზე, აბსოლუტური ნიშნულებით 533,8 – 526,5 მ. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევების "ქ, თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიი"-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი მოედანი მიეკუთვნება დაბალი გეოლოგიური რისკის ზონას.
2. საველე და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე, სამშენებლო მოედანზე გამოიყო ორი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – სგე: ამ სგე-ების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრ. 3-ში. ცხრ. 3

3. სგე	ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები	სიმკვრივე ρ გ/სმ³	ხვედრითი შეჭიდულობა C მპა	შიგა ხახუნის კუთხე φ გრად	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყ. დ მპა	პირობითი საანგარიშო წინაღობა R 0, კგძ/სმ²	დეფორმაციის მოდული E მპა	პუასონის კოეფიციენტი μ	გრუნტის დასახელება
I	A_n	2.22	0.10	31°	4.6		200	0.25	არგილიტი მოყავისფრო
II	A_n	2.34			19.2		2000	0.20	ქვიშაქვა მოლურჯო
	α =0,85	2.31			17.7				
	α =0,95	2.28			16.6				

4. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი I სგე წარმოადგენს დაბალი სიმტკიცის ნახევრადკლდოვან ქანს – არგილიტის და ქვიშაქვის თხელშრეებრივ მორიგეობას. აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის კარგი მახასიათებლები. იგი მისაღებია ფუძის გრუნტებად, საძირკვლის ტიპი – წერტილოვანი საძირკვლები. ფენის სიმძლავრე 6,0 მ-ია, რაც ფერდობის მდგრადობის ანგარიშის დროს მიღებულია შრეების ცოცვის სიბრტყედ. ამ ფენის მდგრადობის კოეფიციენტი Ky=0,85.

5. II სგე წარმოადგენს საშუალო სიმტკიცის კლდოვან ქანს – მასიურ ქვიშაქვებს. აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის მაღალი მახასიათებლები. იგი რეკომენდებულია ფუძის გრუნტებად, საძირკვლის ტიპი – ბურღვით-ნატენი ხიმინჯები კლდოვან ქანებში ჩაანკერებით, რაც მეწყრული მოვლენებისაგან ფერდობის საინჟინრო დაცვის ერთ-ერთი ღონისძიებაა.
6. სამშენებლო მოედნის ჩრდილოეთ ნაწილში, ჩამოჭრილ ფერდობზე კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანები ზედაპირზე გამოდიან. ამ ნაწილში მეზობელ ნაკვეთზე მიმდინარეობს მშენებლობა, რისთვისაც ფერდობი ჩამოჭრილია. სამშენებლო მოედნის მოსაზღვრედ ჩამოჭრილ ფერდობთან რეკომენდებულია საყრდენი კედლის მოწყობა.
7. სამშენებლო მოედანზე მიწისქვეშა წყალი გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში არ დაფიქსირდა, თუმცა, ხიმინჯების მოწყობისას, კლდოვანი ქანის ნაპრალებიდან წყლის გამოჟონვა არ არის გამორიცხული. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იქნება წყლის აგრესიულობის დადგენა ბეტონების მიმართ.
8. ქვაბულის ფერდოს ქანობის დახრა განისაზღვრება სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის ცხრ. 4-ის მოთხოვნების საფუძველზე, რომლის მიხედვით 3 მ-მდე ქვაბულის ფერდოს დახრა ნაყარი გრუნტისთვის მიიღება 1:1 ანუ 45°, ხოლო ქვაბულის ფერდოს ვერტიკალური ქანობის შემთხვევაში, როდესაც ქვაბული 5 მ-ზე მეტია, აუცილებელია მისი ფერდოების გამაგრება შპუნტების, ხიმინჯების, საყრდენი კედლების ან სხვა მეთოდების გამოყენებით.
9. ქ. თბილისი, "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.-09)-ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი - 0,17; ხოლო იმავე კრებულის ცხრილი №1-ის მიხედვით, მოედნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

გეოლოგიის მაგისტრი,
ინჟინერ-გეოლოგი — გ. სადრაძე



თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩის მიმდებარედ, ნაკვ. №01.14.04.029.313-ში ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების პროექტი			
დირექტორი	გ. სიყმაშვილი					
ინჟ.გეოლოგი	გ. სადრაძე		ჭაბურღილების განლაგების სქემა			
შეასრულა	თ. ხევსურიანი					
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			პროექტი	1	3	უმასშტაბო	"თბილინვესტპროექტი"



ნიშნული მ	533,6	529,0	
მანძილი მ		17,5	

პირობითი ნიშნები

ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შეუმკვრივებელი.

ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მონაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის.

არგილიტის და ქვიშაქვის თხელშრეებრივი მორიგეობა, მოყვითალო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, დაბალი სიმტკიცის.

ლითოლოგიური საზღვარი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ, ნაკვ. №01.14.04.029.313-ში ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების პროექტი				
დირექტორი	გ. სიჟმაშვილი						
ინჟენერი	გ. სადრაძე		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი I-I				
შესრულა	ი. ხვიჩიანი						
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			პროექტი	2	3	1:100	"თბილინვესტპროექტი"



ნიშნული მ	532,6	529,0	
მანძილი მ		18,0	

პირობითი ნიშნები

ნაყარი ბრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით, შეუმკვრივებელი.

ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მონაცრისფრო-მოლურჯო, სამშალო სიმტკიცის.

არგილიტის და ქვიშაქვის თხელშრეებრივი მორიგეობა, მოქვითალო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, დაბალი სიმტკიცის.

ლითოლოგიური საზღვარი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, ჭავჭარაძის ქუჩის მიმდებარედ, ნაკვ. №01.14.04.029.313-ში ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების პროექტი				
დირექტორი	გ. სიჟმაშვილი						
ინჟ.გეოლოგი	გ. საღრაძე		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი II-II				
შესასრულა	თ. ხუციშვილიანი						
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.ჯ.ს
			პროექტი	3	3	1:100	"თბილინჟსტაროექტი"

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №1 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 533.6

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2	tQIV		2.8	2.8	530.8	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და ბეტონის ნატეხების ჩანართებით შეუმკვრივებელი.			
3 4 5	P²3		5.7	2.9	527.9	არგილიტის და ქვიშაქვის თხელშრეებრივი მორიგეობა, მოყვითალო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, დაბალი სიმტკიცის.			4.2
6 7	P²3		7.0	1.3	526.6	ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მონაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის			6.0 6.5 6.8

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №2 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 532.6

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის სავების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	გრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	ღონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2 3	tQIV		3.0	3.0	529.6	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და ბეტონის ნატეხების ჩანართებით შეუმკვრივებელი.			
4 5	P²3		5.5	2.5	527.1	არგილიტის და ქვიშაქვის თხელშრეებრივი მორიგეობა, მოყვითალო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, დაბალი სიმტკიცის.			5.0
6 7	P²3		7.0	1.5	525.6	ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით, მონაცრისფრო-მოლურჯო, საშუალო სიმტკიცის			5.8 6.3 6.8

შურფის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

შ-ფ. №3 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 527.5

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის საფუძის სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	tQIV		0.5	0.5	527.0	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და ბეტონის ნატეხების ჩანართებით შეუმკვრივებელი			
1 2 3	P²3		3.0	#REF!	524.5	არგილიტის და ქვიშაქვის თხელშრეებრივი მორიგეობა, მოყვითალო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, დაბალი სიმტკიცის.			2.0 8.5

შურფის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

შ-ფ. №4 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 529.0

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის საფუძის სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	tQIV		0.5	0.5	528.5	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და ბეტონის ნატეხების ჩანართებით შეუმკვრივებელი			
1 2 3	P²3		3.0	2.5	526.0	არგილიტის და ქვიშაქვის თხელშრეებრივი მორიგეობა, მოყვითალო-ყავისფერი, ძლიერ გამოფიტული, დაბალი სიმტკიცის.			2.0

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი, ჟავთარაძის ჭუჩის მიმდ. ნაკვ. №01.14.04.029.313/314/315/316/317

ქანის ერთღერძა კუმშვაზე გამოცდის შედეგები ხელსაწყო ПСН-0.12.10

გამოყენებული სტანდარტები:

гост 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები

гост 21153.2-84 ქანების ერთღერძა კუმშვაზე სიმტკიცის ზღვარის განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები

гост 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია

სინჯის №	ჭაბ №	სიღრმე მ	ქანის დასახელება	სიმტკიცე ჰაერმშრალ მდგომარეობაში Rc მპა	სიმტკიცე წყალნაჯერ მდგომარეობაში Rcწ მპა	დარბილების კოეფიციენტი k	ტენიანობა W %	სიმკვრივე ρ გ/სმ³
1	1	4.2	არგილიტი მოყვითალო-ყავისფერი	9.1	4.3	0.48	12.13	2.24
2	2	5.0	არგილიტი მოყვითალო-ყავისფერი	7.0	3.5	0.51	11.14	2.19
3	3	2.0	არგილიტი მოყვითალო-ყავისფერი	9.1	5.8	0.63	11.50	2.23
საშუალო				8.4	4.6	0.54	11.6	2.22

შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკური
ლაბორატორიის ხელმძღვანელი: თ. ხევცურიანი
თარიღი: 5.09.2021

ცხრილი 2. სიმკვრივე

სინჯის №	ნიმუშის №	ნიმუშის მასა გრ.	პარაფინიანი ნიმუშის მასა ჰაერში გრ	პარაფინიანი ნიმუშის მასა წყალში გრ	პარაფინის მოცულ. სმ³	ნიმუშის მოცულობა სმ³	სიმკვრივე ρ გ/სმ³
1	4	5	6	7	8	9	10
1	4.1	40.41	43.44	22.08	3.03	3.37	2.25
	4.2	39.97	42.66	21.85	2.69	2.99	2.24
							2.24
2	5.1	41.35	44.46	22.13	3.11	3.46	2.19
	5.2	41.39	44.49	22.21	3.10	3.44	2.20
							2.19
3	6.1	42.95	49.96	23.00	7.01	7.79	2.24
	6.2	46.15	52.96	24.57	6.81	7.57	2.22
							2.23

ცხრილი 3. ტენიანობა

სინჯის №	ნიმუშის №	ბიუქსის №	ბიუქსის მასა გრ	ნიმუშის მასა ტენიანი ბიუქს. გრ.	ნიმუშის მასა გამოშრ. ბიუქს. გრ.		ტენიანობა W %
1	4.1	205	22.35	55.15	51.51	0	12.48
	4.2	136	22.72	56.49	52.93	0	11.78
							12.13
2	5.1	95	24.42	48.37	46.23	0	9.81
	5.2	107	25.34	49.58	47.15	0	11.14
							10.48
3	6.1	82	34.52	55.84	53.6	0	11.74
	6.2	137	45.23	61.42	59.75	0	11.50
							11.62

ცხრ. 4 გამოცდა ერთღერძა კუმშვაზე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის №	სიგრძე სმ.	სიგანე სმ.	სიმაღლე სმ.	ფართობი სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა კგ/ძ	სიმტკიცე მპა	მდგომარეობა გამოცდისას
1	1	4.56	4.56	4.60	20.79	0.90	3150	13.6	მშრალი
	2	4.75	4.76	4.70	22.61	0.90	2730	10.9	
	3	4.56	4.55	4.56	20.75	0.90	2300	10.0	
	4	4.78	4.78	4.80	22.85	0.90	2125	8.4	
	5	4.85	4.85	4.86	23.52	0.90	1650	6.3	
	6	4.92	4.92	4.95	24.21	0.90	1400	5.2	
								9.1	
	7	4.85	4.86	4.87	23.57	0.90	1550	5.9	წყალნაჯერი
	8	4.75	4.75	4.75	22.56	0.90	1500	6.0	
	9	4.85	4.85	4.88	23.52	0.90	1325	5.1	
	10	4.70	4.72	4.75	22.18	0.90	1050	4.3	
	11	4.85	4.85	4.90	23.52	0.90	725	2.8	
	12	4.65	4.65	4.66	21.62	0.90	500	2.1	
0.48								4.3	

ცხრ. 4-ის გაგრძელება

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის								
	№	სიგრძე სმ.	სიგანე სმ.	სიმაღლე სმ.	ფართობი სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა კგ/ძ	სიმტკიცე მპა	მდგომარეობა გამოცდისას
2	1	4.78	4.78	4.80	22.85	0.90	2530	10.0	მშრალი
	2	4.77	4.77	4.78	22.75	0.90	2175	8.6	
	3	4.86	4.86	4.87	23.62	0.90	1800	6.9	
	4	4.97	4.97	4.98	24.70	0.90	1650	6.0	
	5	4.75	4.74	4.75	22.52	0.90	1300	5.2	
	6	4.76	4.46	4.77	21.23	0.90	1200	5.1	
								7.0	
	7	4.87	4.87	4.88	23.72	0.90	1300	4.9	წყალნაჯერი
	8	4.56	4.57	4.60	20.84	0.90	1050	4.5	
	9	4.95	4.98	4.65	24.65	0.90	950	3.5	
	10	4.76	4.76	4.80	22.66	0.90	800	3.2	
	11	4.82	4.83	4.90	23.28	0.90	700	2.7	
	12	4.77	4.77	4.80	22.75	0.90	600	2.4	
					0.51			3.5	
3	1	4.30	4.31	4.33	18.53	0.90	2570	12.5	მშრალი
	2	4.35	4.35	4.35	18.92	0.90	2300	10.9	
	3	4.26	4.34	4.66	18.49	0.90	2100	10.2	
	4	4.45	4.42	4.45	19.67	0.90	1760	8.1	
	5	4.35	4.3	4.22	18.71	0.90	1550	7.5	
	6	4.51	4.52	4.53	20.39	0.90	1300	5.7	
								9.1	
	7	4.82	4.88	4.88	23.52	0.90	1850	7.1	წყალნაჯერი
	8	4.85	4.85	4.90	23.52	0.90	1750	6.7	
	9	4.71	4.72	4.72	22.23	0.90	1650	6.7	
	10	4.96	4.98	4.99	24.70	0.90	1500	5.5	
	11	4.93	4.91	4.92	24.21	0.90	1250	4.6	
	12	4.80	4.85	4.50	23.28	0.90	1100	4.3	
					0.63			5.8	

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ჭუჩის მიმდ. ნაკვ. №01.14.04.029.313/314/315/316/317

ქანის ერთღერძა კუმშვაზე გამოცდის შედეგები ხელსაწყო ПСН-0.12.10

გამოყენებული სტანდარტები:

гост 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები

гост 21153.2-84 ქანების ერთღერძა კუმშვაზე სიმტკიცის ზღვარის განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები

гост 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია

სინჯის №	ჭაბ №	სიღრმე მ	ქანის დასახელება	სიმტკიცე ჰაერმშრალ მდგომარეობაში Rc მპა	სიმტკიცე წყალნაჯერ მდგომარეობაში Rწ მპა	დარბილების კოეფიციენტი k	ტენიანობა W %	სიმკვრივე ρ გ/სმ³
1	1	6.0	ქვიშაქვა მონაცრისფრო-მოლურჯო	27.5	20.8	0.76	7.19	2.30
2	1	6.5	ქვიშაქვა მონაცრისფრო-მოლურჯო	22.2	15.4	0.69	6.37	2.36
3	1	6.8	ქვიშაქვა მონაცრისფრო-მოლურჯო	28.2	21.9	0.78	9.08	2.43
4	2	5.8	ქვიშაქვა მონაცრისფრო-მოლურჯო	31.0	23.1	0.75	6.80	2.28
5	2	6.3	ქვიშაქვა მონაცრისფრო-მოლურჯო	22.9	18.7	0.82	6.27	2.26
6	2	6.8	ქვიშაქვა მონაცრისფრო-მოლურჯო	22.1	15.3	0.69	4.32	2.41
საშუალო				25.7	19.2	0.75	6.7	2.34

შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკური
ლაბორატორიის ხელმძღვანელი: თ. ხევცურიანი
თარიღი: 5.09.2021

ცხრილი 2. სიმკვრივე

სინჯის №	ნიმუშის №	ნიმუშის მასა გრ.	პარაფინიანი ნიმუშის მასა ჰაერში გრ	პარაფინიანი ნიმუშის მასა წყალში გრ	პარაფინის მოცულ. სმ³	ნიმუშის მოცულობა სმ³	სიმკვრივე ρ გ/სმ³
1	4	5	6	7	8	9	10
1	1.1	45.35	48.05	25.23	2.70	3.00	2.29
	1.2	46.15	48.33	25.9	2.18	2.42	2.31
							2.30
2	2.1	41.22	44.02	23.35	2.8	3.11	2.35
	2.2	40.25	43.04	22.91	2.79	3.10	2.36
							2.36
3	3.1	39.25	40.23	22.95	0.98	1.09	2.42
	3.2	38.98	40.08	22.85	1.1	1.22	2.44
							2.43
4	4.1	40.41	43.44	22.28	3.03	3.37	2.27
	4.2	39.97	42.66	22.2	2.69	2.99	2.29
							2.28
5	5.1	41.35	44.46	22.61	3.11	3.46	2.25
	5.2	41.39	44.49	22.76	3.10	3.44	2.26
							2.26
6	6.1	42.95	47.96	24.44	5.01	5.57	2.39
	6.2	46.15	50.96	26.57	4.81	5.34	2.42
							2.41

ცხრილი 3. ტენიანობა

სინჯის №	ნიმუშის №	ბიუქსის №	ბიუქსის მასა გრ	ნიმუშის მასა ტენიანი ბიუქს. გრ.	ნიმუშის მასა გაშრობ. ბიუქს. გრ.		ტენიანობა W %
1	4	5	6	7	8		9
1	1.1	117	21.22	36.25	35.31	0	6.67
	1.2	14	24.47	42.51	41.22	0	7.70
							7.19
2	2.1	203	25.58	40.65	39.85	0	5.61
	2.2	152	22.80	39.34	38.24	0	7.12
							6.37
3	3.1	110	25.43	64.24	60.9	0	9.42
	3.2	57	25.22	63.91	60.8	0	8.74
							9.08
4	4.1	205	22.35	55.15	52.51	0	8.75
	4.2	136	22.72	56.49	54.93	0	4.84
							6.80
5	5.1	95	24.42	48.37	47.23	0	5.00
	5.2	107	25.34	49.58	48.15	0	6.27
							5.63
6	6.1	82	34.52	55.84	54.6	0	6.18
	6.2	137	45.23	61.42	60.75	0	4.32
							5.25

ცხრ. 4 გამოცდა ერთღერძა კუმშვაზე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის								
	№	სიგრძე სმ.	სიგანე სმ.	სიმაღლე სმ.	ფართობი სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა კგ/ძ	სიმტკიცე მპა	მდგომარეობა გამოცდისას
1	1	4.54	4.55	4.58	20.66	0.90	7525	32.8	მშრალი
	2	4.72	4.71	4.74	22.23	0.90	7375	29.9	
	3	4.68	4.68	4.69	21.90	0.90	6850	28.1	
	4	4.75	4.75	4.75	22.56	0.90	6700	26.7	
	5	4.81	4.83	4.83	23.23	0.90	6350	24.6	
	6	4.92	4.92	4.92	24.21	0.90	6200	23.1	
								27.5	
	7	4.38	4.38	4.38	19.18	0.90	5450	25.6	წყალნაჯერი
	8	4.43	4.45	4.47	19.71	0.90	5150	23.5	
	9	4.52	4.52	4.52	20.43	0.90	4850	21.4	
	10	4.50	4.51	4.52	20.30	0.90	4500	20.0	
	11	4.61	4.69	4.70	21.62	0.90	4350	18.1	
	12	4.56	4.57	4.58	20.84	0.90	3800	16.4	
					0.76			20.8	
2	1	4.37	4.38	4.39	19.14	0.90	5350	25.2	მშრალი
	2	4.35	4.35	4.38	18.92	0.90	5120	24.4	
	3	4.34	4.34	4.24	18.84	0.90	4850	23.2	
	4	4.45	4.42	4.45	19.67	0.90	4600	21.0	
	5	4.37	4.37	4.38	19.10	0.90	4350	20.5	
	6	4.51	4.52	4.53	20.39	0.90	4275	18.9	
								22.2	
	7	4.38	4.39	4.38	19.23	0.90	4175	19.5	წყალნაჯერი
	8	4.45	4.45	4.50	19.80	0.90	3770	17.1	
	9	4.40	4.40	4.50	19.36	0.90	3400	15.8	
	10	4.28	4.37	4.69	18.70	0.90	3050	14.7	
	11	4.42	4.42	4.47	19.54	0.90	2850	13.1	
	12	4.50	4.5	4.50	20.25	0.90	2700	12.0	
					0.69			15.4	

ცხრ. 4-ის გაგრძელება

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის								
	№	სიგრძე სმ.	სიგანე სმ.	სიმაღლე სმ.	ფართობი სმ^2	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა კგ/ძ	სიმტკიცე მგპა	მდგომარეობა გამოცდისას
3	1	4.55	4.55	4.55	20.70	0.90	7650	33.3	მშრალი
	2	4.52	4.53	4.55	20.48	0.90	7100	31.2	
	3	4.40	4.40	4.45	19.36	0.90	6500	30.2	
	4	4.50	4.51	4.52	20.30	0.90	6250	27.7	
	5	4.47	4.47	4.52	19.98	0.90	5470	24.6	
	6	4.58	4.58	4.58	20.98	0.90	5150	22.1	
								28.2	
	7	4.30	4.35	4.42	18.71	0.90	5200	25.0	წყალნაჯერი
	8	4.22	4.22	4.20	17.81	0.90	4825	24.4	
	9	4.25	4.25	4.28	18.06	0.90	4650	23.2	
	10	4.29	4.29	4.30	18.40	0.90	4475	21.9	
	11	4.50	4.51	4.50	20.30	0.90	4200	18.6	
	12	4.48	4.48	4.50	20.07	0.90	4150	18.6	
					0.78			21.9	
4	1	4.56	4.56	4.60	20.79	0.90	8275	35.8	მშრალი
	2	4.75	4.76	4.70	22.61	0.90	8400	33.4	
	3	4.56	4.55	4.56	20.75	0.90	7655	33.2	
	4	4.78	4.78	4.80	22.85	0.90	7500	29.5	
	5	4.85	4.85	4.86	23.52	0.90	7200	27.5	
	6	4.92	4.92	4.95	24.21	0.90	7100	26.4	
								31.0	
	7	4.85	4.86	4.87	23.57	0.90	6950	26.5	წყალნაჯერი
	8	4.75	4.75	4.75	22.56	0.90	6450	25.7	
	9	4.85	4.85	4.88	23.52	0.90	6100	23.3	
	10	4.70	4.72	4.75	22.18	0.90	5550	22.5	
	11	4.85	4.85	4.90	23.52	0.90	5400	20.7	
	12	4.65	4.65	4.66	21.62	0.90	4750	19.8	
					0.75			23.1	

ცხრ. 4-ის გაგრძელება

ხინჯის №	გამოცდილი ნიმუშის								
	№	სიგრძე სმ.	სიგანე სმ.	სიმაღლე სმ.	ფართობი სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა კგ/ძ	სიმტკიცე მგპა	მდგომარეობა გამოცდისას
5	1	4.78	4.78	4.80	22.85	0.90	6530	25.7	მშრალი
	2	4.77	4.77	4.78	22.75	0.90	6375	25.2	
	3	4.86	4.86	4.87	23.62	0.90	6125	23.3	
	4	4.97	4.97	4.98	24.70	0.90	5935	21.6	
	5	4.75	4.74	4.75	22.52	0.90	5270	21.1	
	6	4.76	4.46	4.77	21.23	0.90	4850	20.6	
								22.9	
	7	4.87	4.87	4.88	23.72	0.90	5800	22.0	წყალნაჯერი
	8	4.86	4.87	4.60	23.67	0.90	5650	21.5	
	9	4.95	4.98	4.65	24.65	0.90	5350	19.5	
	10	4.76	4.76	4.80	22.66	0.90	4550	18.1	
	11	4.82	4.83	4.90	23.28	0.90	4100	15.9	
	12	4.77	4.77	4.80	22.75	0.90	3850	15.2	
					0.82			18.7	
6	1	4.30	4.31	4.33	18.53	0.90	5270	25.6	მშრალი
	2	4.35	4.35	4.35	18.92	0.90	5100	24.3	
	3	4.26	4.34	4.66	18.49	0.90	4725	23.0	
	4	4.45	4.42	4.45	19.67	0.90	4560	20.9	
	5	4.35	4.3	4.22	18.71	0.90	4350	20.9	
	6	4.51	4.52	4.53	20.39	0.90	4100	18.1	
								22.1	
	7	4.82	4.88	4.88	23.52	0.90	4810	18.4	წყალნაჯერი
	8	4.85	4.85	4.90	23.52	0.90	4550	17.4	
	9	4.71	4.72	4.72	22.23	0.90	4025	16.3	
	10	4.96	4.98	4.99	24.70	0.90	3750	13.7	
	11	4.93	4.91	4.92	24.21	0.90	3550	13.2	
	12	4.80	4.85	4.50	23.28	0.90	3300	12.8	
					0.69			15.3	

საექსპერტო კვლევითი ჯგუფი

შ.პ.ს "ექსპერტ დეველოპმენტი"



LTD "expert development"

მტკვრის ქუჩა №6

ტელ: 599 002 004

Mail:expert_development@gmail.com

2021 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქ. თბილისი, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძეს ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.14.04.029.313 /314/315/316/317/) დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა არსებული მიწის ნაკვეთზე, დამკვეთის მიერ ჩატარებული სავველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე შედგენილი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის შესაფასებლად.

დასკვნა შედგენილია შპს „თბილინვესტპროექტის"-ს მიერ (დირექტორი – გ. სიყმიაშვილი, ინჟინერ გეოლოგი – გ. სარდაძე)

ექსპერტიზის მიზანს წარმოადგენდა გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული კვლევის შედეგების შესაბამისობა მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით არსებულ მიწის ნაკვეთზე უნდა მოხდეს ხუთი ორ სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, სარდაფის სართულით.

ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით სავარაუდო – II

საექსპერტოდ წარმოდგენილია აკინძული მასალა, რომელიც მოიცავს ტექსტურ ნაწილს და გრაფიკულ მასალას.

ტექსტური და გრაფიკული ნაწილი წარმოდგენილია 28 ნაბეჭდ გვერდზე, ხოლო გრაფიკული მასალა მოიცავს ტოპოგეგმას და ჭაბურღილების და უბნის ლითოლოგიურ ჭრილებს.

ტექსტური ნაწილის პირველი გვერდი წარმოადგენს ტექნიკურ დავალებას, ხოლო დანარჩენ გვერდებზე განხილულია ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური დალობარატორიული კვლევის ანგარიში, დასკვნა და რეკომენდაციები.

კვლევა

ტექსტურ ნაწილში აღწერილია გეომორფოლოგია, კლიმატური მონაცემები და ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის სახეობა.

აღნიშნულია, რომ დამკვეთის მიერ, მონიშნულ ადგილებში, გეოლოგის მიერ გაყვანილი იქნა ს ჭაბურღილი და 2 შურფი საერთო სიღრმით 20 გრძ/მ.

ჭაბურღილების მონაცემების მიხედვით გამოყოფილია გრუნტების სამი ფენა:

ფენა 1 – 0.30 0.50 გ.მ.ს. (tQIV) ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი თიხნარის გრუნტით და დასამშენებლო ნაგვით (ბეტონის ნამტვრევებით)

ფენა 2 – 0.30 0.50 – 3.00 5.50 5.70 გ.მ.ს. თხელშრეებრივი არგილიტები და ქვიშაქვები **(P_2^3)** ყვითელი ყავისფერი, ზედა ნაწილი ძლიერ გამოფიტულია, მეტწილად წარმოდგენილია არგილიტის და ქვიშაქვის თხელი შრეებით. არგილიტი არა მდგრადია და ადვილად იშლება. ქვიშაქვები მკვრივია, მდგრადი, თიხურ ცემენტზე. არგილიტი მუქი-ყავისფერია, ფენოვანი, შედგება თიხური არაერთგვაროვანი მასისაგან, კვარცის უწვრილესი მარცვლების ჩანართებით. სიღრმის მატებასთან ერთად არგილიტები ხდებიან უფრო მკვრივები და მდგრადები. სიღრმის მატებასთან ერთად ქანის გამოფიტვის ხარისხი კლებულობს და შესაბამისად ქანის სიმტკიცე იზრდება.

ფენა 3 – ქვიშაქვები არგილიტების შუაშრეებით **(P_2^3)** 5.70 5.5 – 7.00 გ.მ.ს. მონაცრისფრო-მოლურჯო, სუსტად გამოფიტული, წვრილმარცვლოვანი, თიხურ ცემენტზე. არგილიტის თხელი შრეები, ქვიშაქვის მკვრივ შრეებს შორის შუაშრეების სახით არის განლაგებული. ნაპრალები შევსებულია კალციტით. არგილიტის შრეების სიმძლავრე 2-5 სმ-ის ფარგლებშია, ქვიშაქვის შრეები მასიურია, 20-50 სმ-ს აღწევს. სიღრმის მატებასთან ერთად არგილიტები ხდებიან უფრო მკვრივები, უფრო მდგრადები, ამიტომ ფენა შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანი, რადგან მათ შორის კავშირი მტკიცეა.

კვლევის დდროს გრუნტის წყალი არ გამოვლინდა.

ძირითადი ქანები ლაბორატორიულად შესწავლილა და გამოყენებულია გეოლოგის მიერ წარმოდგენილ კვლევაში.

ანგარიშის განხილვის შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ იგი შესრულებულია პროფესიულ დონეზე და აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

ტექსტური ნაწილის ბოლოს განხილულია უბანი საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით და საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით.

მოყვანილია უბნის სეისმურობა და გრუნტების კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით. ბოლოს მოცემულია გრუნტების ჯგუფები დამუშავების სიძნელის მიხედვით.

ჩატარებული გეოლოგიური კვლევის საფუძველზე, დასაშვებია საძირკვლის მოწყობა ხიმინჯებზე დაასევე უნდა იქნა გათვალისწინებული ყველა რეკომენდაცია.

დასკვნა

ქ. თბილისი, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძეს ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.14.04.029.313 /314/315/316/317/) საპროექტო დოკუმენტაცია, სადაც განხილულ იქნა ხუთი ორ სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გეოლოგიური მონაცემები ინჟინერ-გეოლოგის გ. სარდაძეს მიერ, აკმაყოფილებს წარმოდგენილ მდგომარეობას. სამუშაოები შესრულებულია ადგილზე აღებული სინჯების საფუძველზე, ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების და ფონდური მასალების გამოყენების დაყრდნობით, ჩატარებული კვლევის შედეგად წარმოდგენილ გეოლოგიურ სამუშაოებს ენიჭება დადებითი შეფასება.

ინჟინერ-გეოლოგი **გ. თოფურიძე**



გიორგი თოფურიძე



მისამართი:
ქ. თბილისი, კასპის 3ვ

ტელეფონი:
599 002004

Email:
topuridzemail@gmail.com

დაბადების თარიღი:
15.07.1982

ოჯახური მდგომარეობა:
განქორწინებული

სამუშაო გამოცდილება

2007 წლიდან დღემდე

2007-2009 წწ

სამშენებლო კომპანია „პლანეტა“-ს დამხმარე გეოლოგი

2009-2012 წწ

საქარველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ინჟინერ გეოლოგი გიორგი ჭოხონელიძის თანაშემწე (უმცროსი გეოლოგი)

2013-2018წწ

შპს „აიმაქსი“ - გეოლოგი

2018-2021 წწ

შპს „ექსპერტ დეველოპმენტი“ - გეოლოგი

ენები

ქართული - მშობლიური
ინგლისური -კარგად
რუსული - კარგად

ტექნიკური უნარები

Excel, 10 წელი
Word, 10 წელი
PowerPiont, 10 წელი
Internet/OutLook, 10 წელი

განათლება

თბილისის 75 საშუალო სკოლა 1999 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი 1999-2004 წ.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 014821

This is to certify that Mr./Mrs. Giorgi Topuridze in the year 2003 completed a full Bachelor's course of the Georgian Technical University majoring in Mining of Gas and Oil deposits, Gas-Oil Pipeline, Gas-Oil Storage Exploitation

By resolution of the State Examination Board, dated December 23, 2003 Mr. Giorgi Topuridze is conferred the degree of Bachelor of Engineering qualifying as Mining - Engineer

Seal

Rector

Chairman of the State Examination Board N. Khundadze

Dean E. Mgaloblishvili

City Tbilisi 2.04.2004

Registration No 11641 Secretary Gras

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 014821

მიეცა გიორგი ალექსანდრეს ძე თოთაღორაძეს

მასზედ, რომ მან 2003 წელს დაამთავრა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ბაკალავრიატის სრული კურსი, სპეციალობით

ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავე-

ბა, ნავთობგაზსადენების და ნავთობგაზსაცავების ექსპლოატაცია

